

კომპანია შილდის მიერ წარმოდგენილი პრეპარატის დაკვირვება
აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლაში

აბაშის მუნიციპალიტეტი

16.06.2019

მიმდინარე წლის 12-15 ივნისს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, აბაშის მუნიციპალიტეტში, აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების მართვის ცენტრში იმყოფებოდნენ კომპანია შილდის წარმომადგენლები მედგარი გავაშელი, მიხეილ გავაშელი და ლევან ზოდელავა ფაროსანას საწინააღმდეგო პრეპარატის გამოცდის მიზნით.

გამოცდის პროცესს ასევე ესწრებოდნენ ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების მართვის ცენტრის ხელმძღვანელი ლაშა შალამბერიძე, მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ მესხი, ამავე სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორები მალხაზ ჩარკვიანი და ლევან სირია.

12 ივნისს 13:00 ზე ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეულ ადგილზე სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ეკში, მოსახლეობიდან მოშორებით არსებულ თხმელის ხეზე, სოფლის შიდა გზის განაპირას განთავსებული იყო „ე.წ.“ მოიზიდე და გაანადგურე სადგური, კერძოდ მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 2 მეტრის სიმაღლეზე ხეზე განთავსდა TRECE-ს ფერომონი. ხოლო ნიადაგის ზედაპირზე განვითავსეთ პოლიეთილენის ფირი. ხის ვარჯის ქვედა ნაწილი და arasruli xe დამუშავდა კომპანია შილდის წარმომადგენლების მიერ წინასწარ გამზადებული სამუშაო ნაზავით. შესხურებისთვის გამოყენებული იყო მექანიკური შემასხურებელი აპარატი SOLO 5 ლიტრის ტევადობით.

ამავე დღეს 18:18 საათზე ვიმყოფებოდით დამუშავებულ ადგილზე და პოლიეთილენის ფირის ზედაპირიდან მოხდა 25 ერთეული ზრდასრული ფაროსანას შეგროვება, აღნიშნული რაოდენობიდან დაახლოებით 10 ინდივიდს აღენიშნებოდა სასიცოცხლო ნიშნები, რაც გამოიხატებოდა კიდურებისა და ანტენების უმისამართო და შენელებულ მოძრაობაში.

აღსანიშნავია, რომ 6 ინდივიდი იყო მკვეთრად შავად შეფერილი და ზოგიერთ მადგანს კიდურები საერთოდ არ გააჩნდა.

ამავე დღეს აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების მართვის ცენტრში ჩვენს მიერ 2 ერთეულ გალიაში მოხდა 20 – 20 ცალი ცოცხალი ზრდასრული ფაროსანას განთავსება. გალიებზე განთავსდა წარწერა, სადაც მიეთითა პრეპარატების დასახელება-მოქმედი ნივთიერება და შესხურების ჩატარების დრო. ერთ შემთხვევაში დამუშავება მოხდა პრეპარატ **შილდით** (კომპანიის წარმომადგენლების მიერ წინასწარ მომზადებული იყო სამუშაო ნაზავი) გალიაში არსებულ მწერებზე პირდაპირი შესხურებით, ხოლო მეორე შემთხვევაში **ბიფენტრინის** (5 გრამი 5 ლიტრ წყალში) შემცველი პრეპარატით იგივე მეთოდით გალიაში არსებულ მწერებზე პირდაპირი შესხურებით.

აღსანიშნავია, რომ **შილდით** მწერებზე პირდაპირი შესხურების შედეგად 1-2 წუთში 20 ინდივიდიდან 18 ის სიკვდილი დადგა, ხოლო 2,5 საათის ხელახალი ნახვის შემდეგ დამატებით 2 ინდივიდისაც.

რაც შეეხება **ბიფენტრინით** მწერებზე პირდაპირ შესხურებას 2,5 საათის შემდეგ 15 ინდივიდის სიკვდილი დადგა. ხოლო 13 ივნისს დილის 10:00 საათზე ნახვის შემდეგ დამატებით 5 ინდივიდიც განადგურდა.

ამავე დღეს 18:30 ვიმყოფებოდით სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ეკში სადაც დასახლებული პუნქტის მოშორებით, სოფლის შიდა გზის განაპირას არსებულ რცხილის ხეზე განთავსებული იყო „ე.წ.“ მოიზიდე და გაანადგურე სადგური, ფერომონი განთავსებული იყო ნიადაგის ზედაპირიდან დაახლოებით 1,5 მეტრზე, ნიადაგის ზედაპირზე განვითავსეთ პოლიეთილენის ფირი და ხის ვარჯის ქვედა ნაწილი დამუშავდა ბიფენტრინის შემცველი ინსექტიციდით (5 გრამი 5 ლიტრ წყალში).

აღსანიშნავია, რომ დამუშავებული ხეები მდებარეობს ერთმანეთისგან 1-1,5 კმ-ს მოშორებით.

13 ივნისს 13:37-ზე თხილის ახლად მოჭრილი ტოტების (ფოთლებით და ნაყოფებით) დამუშავება მოვახდინეთ **შილდით** და **ბიფენტრინით** და შემდგომში განვითავსეთ მწერების გალიებში. პრეპარატების ნარჩენი მოქმედების განსაზღვრის მიზნით გალიებში განთავსდა 15-15 ცოცხალი ზრდასრული ფორმის აზიური ფაროსანა.

ამავე დღეს გავემგზავრეთ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ეკში 12 ივნისს დამუშავებული ადგილების მოსანახულებლად. პრეპარატ შილდით დამუშავებულ ადგილზე დაახლოებით 26 საათის გასვლის შემდეგ პოლიეთილენის ფირზე 14:30 საათზე ფიქსირდებოდა დაახლოებით 200 მავნებლის ზრდასრული ფორმები, გარკვეულ რაოდენობას აღენიშნებოდა სასიცოცხლო ნიშნები, რაც გამოიხატებოდა კიდურებისა და ანტენების უმისამართო და შენელებულ მოძრაობაში. ასევე აღსანიშნავია რომ მცენარის ფოთლებზე და სხვა მწვანე ნაწილებზე არ აღინიშნებოდა ფიტოტოქსიკურობა.

ბიფენტრინით დამუშავებულ ადგილზე პოლიეთილენის ფირზე 14:57 საათზე ფიქსირდებოდა 16 ერთეული ზრდასრული ფორმა გარკვეულ რაოდენობას აღენიშნებოდა სასიცოცხლო ნიშნები, რაც გამოიხატებოდა კიდურებისა და ანტენების უმისამართო და შენელებულ მოძრაობაში. და აქაც არ აღინიშნებოდა მცენარის ფოთლებზე და სხვა მწვანე ნაწილებზე არ აღინიშნებოდა ფიტოტოქსიკურობა.

ამავე დღეს 17:10 საათზე მოვახდინეთ შილდით და ბიფენტრინით დამუშავებული თხილის მწვანე ნაწილების მონახულება და პრეპარატის მოქმედების შეფასება აზიური ფაროსანას ზრდასრულ ფორმებზე.

ორივე შემთხვევაში 15 ინდივიდი იყო მკვდარი პრეპარატის მოქმედების შედეგად. აღსანიშნავია, რომ შილდით დამუშავებული თხილის მწვანე ნაწილები იყო გაშავებული და აღინიშნებოდა ფიტოტოქსიკურობა. უნდა აღინიშნოს, რომ თხილის ტოტები (ფოთლებით და ნაყოფებით) მოთავსებული იყო დახურულ ბადეში, ამიტომ შესაძლოა პრეპარატ შილდის გაზოვანმა გამოიწვიოს ფიტოტოქსიკურობა. აღსანიშნავია, რომ ღია გრუნტში მომდევნო დღეს დამუშავებულ თხილის ხეზე ფიტოტოქსიკურობა არ აღინიშნულა.

14 ივნისს ვიმყოფებოდით სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფელში ადგილობრივი მცხოვრების თემურ ღვინჯილიას თხილის ბაღში ჩვენს მიერ წინასწარ მოხდა თხილის ფართობში 2 ბუჩქის შერჩევა, ნიადაგის ზედაპირზე განვითავსეთ პოლიეთილენის ფირი და თხილებზე დავამონტაჟეთ ფერომონი. 11:00 საათზე ერთი ბუჩქი დამუშავდა შილდით ხოლო მეორე ბიფენტრინით.

15 ივნისს ნაკვეთის მეპატრონის თანდასწრებით 10:30 სათზე მოვინახულეთ ორივე დამუშავებული ადგილი. შილდით დამუშავებულ მცენარეს არ აღინიშნებოდა ფიტოტოქსიკურობა და იმ პერიოდისთვის მცენარე იყო ისეთივე მდგომარეობაში როგორც მის დამუშავებამდე, პოლიეთილენის ფირზე ფიქსირდებოდა ფაროსანას ზრდასრული ფორმა და ასევე ნიმფები (2-3 ასაკი).

ბიფენტრინით დამუშავებულ მცენარეს ასევე არ აღინიშნებოდა ფიტოტოქსიკურობა და იმ პერიოდისთვის მცენარე იყო ისეთივე მდგომარეობაში როგორც მის დამუშავებამდე, პოლიეთილენის ფირზე ფიქსირდებოდა ფაროსანას ზრდასრული ფორმები და ასევე ნიმფები (2-3 ასაკი).

ზემოაღნიშნულ ადგილებზე პერიოდულად გაგრძელდება დაკვირვებები სპეციალისტების მიერ, რაც აუცილებელია პრეპარატის ფიტოტოქსიკურობის შესწავლისათვის.

16 ივნისს ლაშა შალამბერიძე და ნიკოლოზ მესხი იმყოფებოდნენ ახალსოფელში და 12:45 საათზე, დათვალიერების შედეგად პოლიეთილენის ფირზე ფიქსირდებოდა მავნებლის გარკვეული რაოდენობა, ასევე შილდით დამუშავებულ მცენარეზე ფიქსირდებოდა 15-მდე მეტი ზრდასრული ინდივიდი რომლებიც მიახლოების შემდგომ ფრინდებოდნენ, ასევე ბიფენტრინით დამუშავებულ მცენარეზე 5-მდე მეტი ზრდასრული ინდივიდი რომლებიც მიახლოების შემდგომ ფრინდებოდნენ.

აზიური ფაროსანას ღონისძიებების მართვის ცენტრის წევრები მზად არიან უახლოეს კვირებში კომპანია შილდის წარმომადგენლებთან ერთად დამატებით კიდევ ჩაატარონ ვიზიუალური დაკვირვებები, წინასწარ შერჩეულ ადგილებზე. ხაზგასმით აღსანიშნავია რომ ზემოაღნიშნული ცენტრის წევრები ახდენენ მხოლოდ ვიზუალურ დაკვირვებას, ხოლო სამეცნიერო კვლევები მართვის ცენტრის სურსათის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას არ განეკუთვნება.

აღსანიშნავია რომ შილდის დახურულ სივრცეში გამოყენება არ შედის არ შედის სურსათის ეროვნულ სააგენტოს კომპეტენციაში და განეკუთვნება ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი უწყების კომპეტენციას. თუმცა დაკვირვებამ აჩვენა რომ მავნებლის ნიმფებზე და ზრდასრულ ფორმებზე პირდაპირი შესხურებით მავნებელი ნადგურდება 1-2 წუთში.

აქტი შედგენილია ჩვენს მიერ რაზეც ხელს ვაწერთ:

ლაშა შალამბერიძე

ნიკოლოზ მესხი

ლევან სირია

მალხაზ ჩარკვიანი

მედგარი გავაშელი

მიხეილ გავაშელი

ლევან ზოდელავა

16 ივლისი 2019 წ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სააქტო დარბაზი
შეხვედრა მინისტრთან ბატონ ლევან დავითაშვილთან

დამსწრე პირები:

ლევან დავითაშვილი - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ლევან უჯმაჯურიძე - სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის დირექტორი

ზურაბ ლიპარტია - სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე

ნიკოლოზ მესხი - სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის სააგენტოს დეპარტამენტის უფროსი

მანანა კერესელიძე - სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის მცენარეთა დაცვის სპეციალისტი

თენგიზ კალანდაძე - სამინისტროს სოფლის მეურნეობის, სურსათის და სოფლის განვითარების დეპარტამენტის უფროსი

მედგარ გავაშელი - კომპანია შილდის წარმომადგენელი

მიხეილ გავაშელი - კომპანია შილდის წარმომადგენელი

ლევან ზოდელავა - კომპანია შილდის წარმომადგენელი

საკითხები:

აღნიშნულ შეხვედრაზე მინისტრმა აღნიშნა, რომ სამინისტრო მხარს უჭერს და თანამშრომლობს ყველა დაინტერესებულ მხარესთან რომელიც წარმოადგენს ახალ პრეპარატებს ფაროსანას და სხვა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. აღნიშნულ შემთხვევაშიც სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულმა სამეცნიერო - კვლევითმა ცენტრმა და სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ჩაატარა ერთობლივი საველე და ლაბორატორიული დაკვირვება კომპანია შილდის მიერ წარმოგდენილ ახალ პრეპარატზე, რომელიც გამოყენებული იქნა ფაროსანას წინააღმდეგ, (იხ. ზემოთ აღწერილი ოქმი),

ამის შემდგომ კომპანია შილდის წარმომადგენელმა მედგარ გავაშელმა გააკეთა მოხსენება პრეპარატის შექმნასთან დაკავშირებით და დეტალურად აღწერა მისი მოქმედების მექანიზმები და საველე გამოცდის შედეგები ფაროსანას წინააღმდეგ. ასევე აღნიშნა პრეპარატთან პატენტის მიღების თაობაზე.

ზურაბ ლიპარტია აღნიშნა, რომ ევროკანონმდებლობით აკრძალულია ამონიუმის ჰიდროქსიდის პესტიციდად გამოყენება.

ბატონმა მედგარ გავაშელმა განმარტა, რომ პრეპარატი “შილდი” დარეგისტრირდა როგორც აგროქიმიკატი სასუქი ინსექტო-რეპელენტური თვისებებით. ესე იგი შესაძლებელია გამოყენება სხვადასხვა მავნე მწერების წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც ზემოთ აღნიშნულ ოქმში, როგორც საველე ისე ლაბორატორიულმა შედეგებმა დაამტკიცა, რომელიც დაფიქსირებულია ვიდეო მასალით.

მინისტრმა დაავალა თენგიზ კალანდაძეს დააზუსტოს ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები აკრძალვასთან დაკავშირებით.

ვინაიდან პრეპარატმა “შილდი”-მა აჩვენა კარგი შედეგები, როგორც საველე ისე ლაბორატორიულ ცდებში მინისტრმა დაავალა სურსათის ეროვნულ სააგენტოს და სამეცნიერო-კვლევით ცენტრს მიმდინარე სეზონზე გაგრძელდეს საველე გამოცდები და სპეციალისტებმა მოახდინონ შესაბამისი დაკვირვება.